სახელმწიფო კანონების და კრიმინალური სუბკულტურის თანაარსებობა სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში

სოსო დოლიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

სოსო დოლიძე _____ 27.06.2016

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს იმ ფსიქოლოგიური მექანიზმების კვლევა, რომელიც წარმოიქმნება საქართველოს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურისა და სახელმწიფო კანონების თანაარსებობის შემთხვევაში, ე. წ. ქურდული კრიმინალური სამყაროს მაგალითის ფონზე, ვინაიდან ციხე არის ის იშვიათი ადგილი სადაც ერთმანეთის გვერდით უწევთ თანაცხოვრება კანონის ორ ერთმანეთთან დაპირისპირებულ ვერსიას: „ქურდულ“, იგივე საბჭოთა კრიმინალურ სუბკულტურას, ანუ კანონის სუბვერსიას, რომლის გამზიარებელნი არიან პატიმრები და სახელმწიფო კანონს, რომელიც სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში წარმოდგენილია ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლებით. ნაშრომში განხილულია კრიმინალური სუბკულტურის ძირითადი მახასიათებლები, როგორებიცაა „კანონიერი ქურდი“, ურთიერთობები ე. წ. უმცირესობებთან იგივე „ქათმებთან“, სიმბოლური მამის როლი საპატიმროში და პატიმრების კანონისადმი დამოკიდებულება. კვლევა ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუების გამოყენებით, გამოიკითხა 15 მამრობითი სქესის, სრულწლოვანი ყოფილი პატიმარი. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, ფსიქოანალიტიკური ანთროპოლოგიის მეთოდით და სიღრმის ფსიქოლოგიის კონცეფციების გათვალისწინების მიმოხილულია დაწესებულების შიგნით არსებული ატმოსფერო და ნიუანსები რომელიც ამ ორი განსხვავებული კანონის ურთიერთობის შედეგად წარმოიქმნება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კრიმინალური სუბკულტურა, ფსიქოანალიტიკური ანთროპოლოგია, კანონის სუბვერსია, „კანონიერი ქურდი“, ციხე